თანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს
ადგილობრივ
თვითმმართველობათა
ეროვნულ ასოციაციას

მოლდავეთის
ადგილობრივ
ხელისუფალთა
კონგრესს

უკრაინის ქალაქთა
ასოციაციას

მხარდაჭერილია

ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მიერ

ჩვენ, ამ მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები:

ვაღიარებთ რა ჩვენი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას და ეროვნული ინტერესების უზენაესობას;

პატივს ვცემთ რა ჩვენს ქვეყნებს შორის ისტორიულ მეგობრობასა და კეთილმეზობლობას;

ვითვალისწინებთ რა საერთო ინტერესებს ადგილობრივი დემოკრატიის ხელშეწყობისთვის ეფექტური რეფორმების გზით;

გამოვხატავთ რა ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი და დემოკრატიული სისტემის მტკიცე მხარდაჭერას, რაც შეესაბამება ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის მიერ რატიფიცირებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას;

ვაღიარებთ რა ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობის ხელშეწყობას რათა გაძლიერდეს თანამშრომლობა და ძალისხმევა მიმდინარე რეფორმების გაღრმავებისთვის;

ვდებთ რა კეთილსინდისიერი თანამშრომლობის, ნდობის, გამჭვირვალობის, დემოკრატიულობის, პასუხისმგებლობისა და პროფესიონალიზმის პირობას.

ვაცხადებთ მზადყოფნას:

ხელი შევუწყოთ დიალოგს, საჭიროების შემთხვევაში, გავცვალოთ ინფორმაცია ჩვენი ასოციაციების ძირითადი სამუშაოებისა და ფუნქციების შესახებ;

გავავრცელოთ ინფორმაცია ჩვენს ქვეყნებში ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მუშაობის შესახებ, რაც მიზნად ისახავს ჩვენს სახელმწიფოებს შორის დიალოგის გაუმჯობესებას;

მოვიძიოთ შესაძლებლობები პარტნიორული პროგრამებისა და ერთობლივი ინიციატივების განსახორციელებლად, რათა ხელი შევუწყოთ კარგ მმართველობას ჩვენს ასოციაციებსა და ჩვენს ქვეყნებს შორის;

ხელი შევუწყოთ თანამშრომლობას ჩვენს წევრ მუნიციპალიტეტებს შორის და გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, ცოდნა და კარგი პრაქტიკა.

ინგლისურ, ქართულ, რუმინულ და უკრაინულ ენებზე. ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია

კიევი, უკრაინა, 29 ივნისი 2017

დავით ჯიქია

პრეზიდენტი

საქართველოს
ადგილობრივ
თვითმმართველობათა
ასოციაცია

ტატიანა ბადანი

პრეზიდენტი

მოლდავეთის ადგილობრივ
ხელისუფალთა
კონგრესი

ვიტალი კლიჩკო

თავმჯდომარე

უკრაინის ქალაქთა
ასოციაცია

ანდრეას კიფერი

გენერალური მდივანი

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ
ხელისუფალთა კონგრესი